დანართი №1

განცხადება

ა(ა)იპ– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატების რეგისტრაციისა და კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

1. გამოცხადდეს არჩევნები და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

ბ) სამოქმედო გეგმისა და კონცეფციის წარმოდგენა;

3. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 12 ივნისს.

4. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013 წლის 28 ივნისს 10:00 საათიდან, მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #1, ოთახი #114.

4. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 12 ივლისი 18:00 საათი.

5. აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატთა შემოსული განცხადებების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურის არჩევის დღედ განისაზღვროს 2013 წლის 16 აგვისტო.

7. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

გ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ავტობიოგრაფია;

ე) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4–ზე;

ვ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.